გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა

გენადი იაშვილი
სტუ-ს პროფესორი
E-mail: genadi_iashvili@hotmail.com
ზაზა წვერავა
სტუ-ს დოქტორანტი

რეზიუმე

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესი, რომელზედაც მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორგანიზაციის წარმატება. თანამედროვე ორგანიზაციის განვითარებაში, მნიშვნელოვანი როლი აკისრია პროფესიონალ კადრებს და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, ხელმძღვანელებსა და მენეჯერებს. პროფესიონალი მენეჯერი უნდა ფლობდეს მმართველობითი გადაწყვეტილებების ანალიზის, განსაზღვრის, შემუშავების, მიღებისა და დანერგვის ტექნოლოგიას, რომლის გარეშეც ორგანიზაციის მართვა რთულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოში პრაქტიკულად შეუძლებელია.

გადაწყვეტილებების მიღება, თავისთავად წარმოადგენს შეგნებულ არჩევანს არსებულ ვარიანტებსა და მოქმედებათა მიმართულების ალტერნატივებს შორის, რომლის შედეგადაც უნდა ხდებოდეს ორგანიზაციის არსებულ და სამომავლოდ სასურველ მდგომარეობებს შორის წყვეტის შემცირება. თანამედროვე ორგანიზაციის მართვის სისტემაში მნიშვნელოვანია თუ, როგორ დონეზეა და რა როლი აკისრია ორგანიზაციის მართვისა და ხელმძღვანელი პირების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებას.

მოცემულ სტატიაში განხილულია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის საკითხები.

საკვანძო სიტყვები: გადაწყვეტილების მიღება, მმართველობითი გადაწყვეტილებები, ორგანიზაცია, ხელმძღვანელი

თანამედროვე მენეჯმენტის პრობლემათაგან ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემას წარმოადგენს მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავება, მიღება და განხორციელება, რომელიც წარმოადგენს მმართველობითი ზემოქმედების მთავარ ინსტრუმენტს. ამასთან, ეს პრობლემა არ არის წმინდა აკადემიური ხასიათის, მას აქვს სავსებით სერიოზული და პრაქტიკული გამოყენებითი მნიშვნელობა, რომელიც პროპორციულად იზრდება ორგანიზაციული და სამეურნეო სიტუაციებისა და მმართველობითი ამოცანების გართულების ფონზე, და რომლებიც, საჭიროებენ გადაწყვეტას.

მენეჯმენტის შესახებ ლიტერატურაში გადაწყვეტილებათა მიღების და მმართველობითი საქმიანობის ცნებები იმდენად გადაჯაჭვულია და მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რომ ხშირად მოიხსენებენ მათ როგორც სინომიმებს და ეს, არ ხდება შემთხვევით. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს უკავიათ ცენტრალური, იერარქიულად მაღალი ადგილი მმართველობითი საქმიანობის სტრუქტურაში, იმდენად რამდენადაც, მეტწილად ზუსტად ისინი განსაზღვრავენ ამ საქმიანობის შინაარსსა და მის რეზულტატებს.

მმართველობა კაცობრიობის ისტორიაში საუკუნეების განმავლობაში არსებობდა. ნებისმიერი სახელმწიფოებრივი წყობა, ადამიანების ორგანიზებული ნებისმიერი საქმიანობა გულისხმობს იმას, რომ არსებობს მართვის ობიექტი (ის, ვინც იმართება) და მართვის სუბიექტი (ის, ვინც მართავს). ეფექტურად ორგანიზებული მმართველობითი საქმიანობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა არც ეგვიპტის პირამიდების მშენებლობა, არც შეკიდული ბაბილონის ბაღების შექმნა, არც ომების წარმოება, არც ქალაქებისა და ქვეყნების შექმნა და განვითარება. ფაქტობრივად მმარ-

თველობა გაჩნდა მაშინ, როდესაც წარმოიქმნა ორგანიზაციები, თუმცა ძველი ორგანიზაციები დიდად განსხვავდებოდნენ თანამედროვე ორგანიზაციებისაგან. ძირითადი განმასხვავებელი ძველის თანამედროვესაგან ის იყო, რომ არსებობდა ცოტაოდენი მსხვილი ორგანიზაციები, ხელმძღვანელთა შედარებით ცოტაოდენი რაოდენობა, ფაქტიურად არ არსებობდა საშუალო დონის ხელმძღვანელები, ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნები ხდებოდა დაბადების უფლებით ან/და ძალის გამოყენების გზით, აქცენტი კეთდებოდა მართვის ბრძანებლურ და ინტუიციურ სტილზე, და ბოლოს ორგანიზაციაზე გადაწყვეტილებების მიღებაზე უფლებამოსილების მქონე ადამიანთა სიმცირე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გადაწყვეტილებების მიღების (ისე როგორც ყველა მმართველობითი გადაწყვეტილებების პრობლემის) მეცნიერული კვლევების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ინტერდისციპლინალური ბუნება, რომელიც გაერთიანებულია მეცნიერული ცოდნის სხვადასხვა სფეროში. გადასაწყვეტი პრობლემების, თვით გადაწყვეტილების მიღების და მიღებული შედეგების კომპლექსურობის და მრავალასპექტრიანობის სირთულის გათვალისწინებით, გადაწყვეტილებების მიღების თეორიის შემუშავებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მათემატიკოსები, ფილოსოფოსები, ფსიქოლოგები, სოციოლოგები, ეკონომისტები, იურისტები და ეს სავსებით ბუნებრივია. გადაწყვეტილების მიღება, ისევე როგორც ინფორმაციის გაცვლა არის ნებისმიერი მმართველობითი ფუნქციის შემადგენელი. გადაწყვეტილებების მიღების აუცილებლობა წარმოიქმნება მმართველობითი პროცესის ყველა ეტაპზე და დაკავშირებული არის მმართველობითი საქმიანობის ყველა სეგმენტთან და ასპექტთან. გადაწყვეტილებათა მიღების პროცესი ზუსტად ასახავს იმ რეალურ პრობლემებს, ურთიერთობებს და კავშირებს, რომლებიც ჩამოყალიბდა ორგანიზაციაში, ხოლო მათი (გადაწყვეტილებების) უწყვეტი თანმიმდევრობა ხასიათდება, როგორც მმართველობითი პროცესის უწყვეტობა. უფრო მეტიც, მარტო გადაწყვეტილებების შემუშავებისა და რეალიზაციის პროცესის შესწავლა, საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ მმართველობის მნიშვნელოვანი მხარე, იმდენად, რამდენადაც მმართველობის შინაარსი ვლინდება მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსში. ამდენად, მნიშვნელოვანია გავიგოთ გადაწყვეტილებათა მიღების ბუნება და დანიშნულება.

მმართველობითი გადაწყვეტილებათა ხასიათის გაგება უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია მენეჯმენტის სისტემაში გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის ადგილზე და როლზე. სისტემური ანალიზის თვალსაზრისით, მმართვის პროცესის არსი წარმოადგენს ორგანიზაციის პრობლემების გადაწყვეტის პროცესს, რომლებიც წარმოიქმნება ორგანიზაციის ფუნქციონირებისა და განვითარების კვალდაკვალ.

მართვის ციკლი ყოველთვის იწყება მიზნების დასმითა და პრობლემების განსაზღვრით, გრძელდება საჭირო გადაწყვეტილებათა შემუშავებითა და მიღებით და მთავრდება გადაწყვეტილებათა დანერგვისა და მისი შესრულების კონტროლით. მიღებული რეზულტატების ანალიზი უფრო სწორათ, რომ ვთქვათ დასახული მიზნების მიღწევის ხარისხის შეფასება, წარმოადგენს ახალი პრობლემების გამოვლენისა და ახალი გადაწყვეტილებათა მიღების წყაროს, რომელიც თავისთავად განაახლებს მმართველობით ციკლს.

ინფორმაცია, თანამედროვე მსოფლიოში გახდა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან რესურსად, საინფორმაციო სისტემები კი — აუცილებელ ინსტრუმენტად პრაქტიკულ საქმიანობის ყველა სფეროში. ამოცანების ნაირფეროვნებამ, რომლებიც ამოიხსნება საინფორმაციო ტექნოლოგიების დახმარებით, მიგვიყვანა მრავალ სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო ტექნოლგიასთან. ისინი განსხვავდება ერთი მეორესაგან აგების პრინციპებითა და ინფორმაციის დამუშავების წესებით. საინფორმაციო სისტემების წარმოქმნა შედეგია ობიექტური პროცესის, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია ჰქვია. ეს სისტემები, ინფორმაციის ინტეგრირებით, უზრუნველყოფენ მართვის ამოცანების კომპლექსურ გადაწყვეტას [1].

2009 წელს, საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტად ელექტრონული მმართველობის დანერგვა გამოაცხადა. ამის მიზანი სახელმწიფო ადმინისტრაციის რეფორმირება, საჯარო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და საჯარო ადმინისტრირების გამჭვირვალობის და ანგარიშვალდებულების გაზრდა იყო. საინფორმაციო ტექნოლოგიები, ამ რეფორმის წარმატებულად განხორციელების საშუალებას წარმოადგენდა. მას შემდეგ პროექტების ფართო სპექტრი განხორციელდა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მთელი რიგი ნორმატიული აქტები, რომლებიც მიღებულ იქნა. ესენია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს შექმნის შესახებ" კანონი (2009), „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ" კანონი (2011), „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ" კანონი (2012), „პერსონ-

ალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონი (2012) და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" კანონი (2017). საქართველოში ელექტრონული სერვისების საერთო დონის შეფასებისათვის, საინტერესოა შემდეგი კვლევები. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2016 წლის ელექტრონული მმართველობის კვლევის მიხედვით, ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსში, 2010 წლის შემდეგ საქართველო 44 ადგილით დაწინაურდა და 61-ე ადგილი დაიკავა 193 ქვეყანას შორის, თუმცა, 2016 წლის ანალოგიური კვლევით საქართველომ მდგომარეობა 5 პუნქტით გაიუარესა. გარდა ამისა, ელექტრონული ჩართულობის მაჩვენებლით საქართველო 50 წამყვან ქვეყანას შორისაა. იმის გათვალისწინებით, რომ ინტერნეტთან ხელი მოსახლეობის ნახევარზე ნაკლებს მიუწვდება, ეს მონაცემი შთამბეჭდავია. საქართველო 76-ე ადგილზეა, 2016 წლის ელექტრონული ჩართულობის ინდექსში (2008 წელს 143-ე ადგილთან შედარებით). საქართველო ასევე არის იმ რამდენიმე საშუალოშემოსავლიან ქვეყანას შორის, რომლებმაც ელექტრონული მმართველობის განვითარების ინდექსში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწიეს ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავლის მიხედვით. ეს კი უმცირესი ინვესტიციებით უდიდესი შედეგების მიღწევის მაჩვენებელია. საქართველოში განხორციელებულ პროექტებს შორის არის: ქონების რეგისტრაცია (ელექტრონული ამონაწერები); ბიზნესის რეესტრი; სამოქალაქო რეესტრი; ელექტრონული პირადობის მოწმობა; გადასახადების დეკლარირების ელექტრონული სისტემა; ელექტრონული ხაზინა; ეროვნული გამოცდები; ელექტრონული შესყიდვები; ელექტრონული აუქციონი; ელექტრონული ნოტარიუსი და სხვ.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით განხორცილებული თუ განსახორციელებელი რეფორმები, მიმართულია სახელმწიფო მომსახურების სერვისების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომებაზე, რაც უდაოდ წინაგადადგმული ნაბიჯია, თუმცა მნიშვნელოვანია სახელმწიფო მართვის სისტემაში არსებობდეს არამარტო მოქალაქეთა მოხმარებისა და ინფორმირებულობის უზრუნველყოფისათვის საჭირო სისტემატიზირებული სერვისები, არამედ, არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, მართვის საქმიანობისა და მენეჯმენტთან დაკავშირებული პროცესების, სისტემატიზირებული წესით წარმართვისათვის საჭირო ტექნოლოგიების არსებობა და განვითარება. მართვის სფეროში რთული კომპიუტერული ტექნოლოგიების პროგრამული უზრუნველყოფის საკითხები საშუალებას იძლევა გაფართოვდეს მართვის თეორიის გამოყენების არეალი [2].

დასკვნა

ამრიგად, თანამედროვე მენეჯმენტის თეორიის თანახმად, მმართველი რგოლის ერთ–ერთი ცენტრალური ამოცანა ეფექტიანი, რაციონალური, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფაა. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ოპტიმიზაციისათვის სხვადასხვა რგოლის საჯარო მოხელეებს შორის ინფორმაციის გაცვლა სისტემატიურად და ოპერატიულად უნდა ხდებოდეს და კომპეტენციების შესაბამისად ყოველ საფეხურზე რელევანტური გადაწყვეტილებები მიიღებოდეს, რაც მიუღწეველ ამოცანად დარჩება, თუ არ მოხდება მართვისა და ხელმძღვანელი პირების მიერ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, რომლებიც მიმართული იქნება საქმიანობის მართვის სისტემატიზირებული წესით წარმართვაზე, სადაც შიდა ან გარე ფაქტორების ნეგატიური გავლენა, ფაქტობრივად შეუძლებელი იქნება.

ლიტერატურა

1. შ. დოდონაძე, გ. იაშვილი საჯარო სამსახური საქართველოში: რეფორმები, გამოწვევები - ელექტრონული მთავრობა, „ცის ნამი", თბ., 2013, გვ. 3.

2. ელექტრონული ჩართულობის კვლევა 2016 (გაერო) https://publicadministration.un.org/egovkb/en-us/Reports/UN-E-Government-Survey-2016 უკანასკნელად გადამოწმებული იქნა 12.03.2018.

THE POSSIBILITY OF USING MODERN TECHNOLOGIES IN DECISION MAKING PROCESS

GENADI IASHVILI
Professor of GTU
E-mail: genadi_iashvili@hotmail.com
ZAZA TSVERAVA
***Doctoral candidate* of GTU**

Summary

Managing decision making is one of the most important processes, which largely depend on the success of the organization. In the development of a modern organization, there is a significant role of professional staff and the most important is the leadership and managers of our country. The professional manager shall have the technology to analyze, define, elaborate, adopt and implement management decisions without the management of the organization is virtually impossible in a difficult economic-political environment.

Decision making is itself a deliberate choice between the existing options and alternatives to the action, resulting in the reduction of interruption between the existing and future requirements of the organization. In the modern organization management system it is important to know how the level and role of the management and management of the organization in the decision-making process, using modern technologies.

In this article is discussed the possibilities of using modern technologies in decision making processes.

Keywords: Decision making, management decisions, organization, head.